ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 671

ქ. თბილისი « 06 » « ნოემბერი » 2019 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა ფაიქიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ორგსერვისი"-ს დირექტორის ხვიჩა ნემსაძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი")ს, ხოლო ორივე ერთად შემდგომში წოდებული როგორც მხარეები, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის, და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"** (შემდგომში - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. **„ხელშეკრულების ჯამური ღირებულება"** – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.3. **„დღე", „კვირა", „თვე"** – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. **„სამუშაო დღე"** - კალენდარული დღე შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.5. **„შემსყიდველი"** – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.6. **„მიმწოდებელი"** – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.7. **„ინსპექტირება"** – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის– (შემდგომში - „საქონელი") შესყიდვა (CPV3780000). (29.03.03)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1594.3 (ათასხუთას ოთხას ოცდათოთხმეტი ლარი და 30 თეთრი) ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან, ტრანსპორტირებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს (დღგ-ს გათვალისწინებით), მოსაკრებელსა და სახდელს.

4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.2. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ხარისხს, ხოლო ასეთი შეთანხმების არ არსებობის შემთხვევაში შესყიდვის განხორციელების მიზნის შესაბამის ხარისხს. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს სრულიად ახალი.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა კითხვაზე.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ გამოასწოროს შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ხარვეზი.

4.5. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებთ განსაზღვრული ფასი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობისა და ფორმის შესაბამისად.

5. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

5.1.1 საქონლის მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) მიუწდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:
5.2.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;
5.2.2. მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს საქონლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო საქონლის იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო ამ მუხლის შესაბამისად;
5.3. შემსყიდველის მიერ შესყიდვის ობიექტის ღირებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა, გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე.
5.4. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.
5.5. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება მხარის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, იმის მიხედვით თუ ამ გარემოებებიდან რომელი უფრო ადრე დადგება.
5.6. ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ნაწილობრივ (არაჯეროვნად) შესრულებისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო მიუწდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 10%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის სასარგებლოდ ამ მუხლით განსაზღვრულ ვადაში და ადგილზე უნდა განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება.
6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ელექტრონული შტამპის დასმიდან 2019 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.
6.3. მიწოდების ადგილი: ხელშეკრულების 8.2.1 ქვეპუნქტში მითითებული პირების მოთხოვნის შესაბამისად.

7. ანგარიშსწორება

7.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.
7.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
7.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მიწოდებული საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულების **ინსპექტირებას** შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს:
8.2.1. სოციალურ საკითხთა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი _ შეკვეთის მიცემის, შესრულების ვადების, მიწოდების ადგილის, მიღება-ჩაბარების, საქონლის ხარისხის, რაოდენობის (მოცულობის) და საგარანტიო მომსახურების პირობების კონტროლის საკითხებზე.
8.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.
9.2. ფორს-მაჟორში იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშკერულების დადების მომენტისათვის და რომლის თავიდან აცილება მხარეს არ შეეძლო, კერძოდ, საომარი მდგომარეობა, საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, სახაზინო სამსახურის მიერ შემსყიდველის მხრიდან თანხის გადახდის თაობაზე გაგზავნილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შეჩერება ან უარყოფა, საბიუჯეტო ასიგნების შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებები.
9.3. თუ ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელია ვალდებულების შესრულება, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა ფორს-მაჟორის დადგომიდან, აცნობოს შემსყიდველს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ, სათანადო მიზეზების მითითებით. მოცემულ ვადაში

შეუტყობინებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. ფორს-მაჟორის ფაქტი და მისი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ვალდებულების შეუსრულებლობასთან უნდა დადასტურდეს დოკუმენტალურად.

9.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

9.5.თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ელექტრონული შტამპის დასმის თარიღიდან და მოქმედებს, **2020 წლის 10 იანვრის** ჩათვლით.

11. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

11.1. მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (ხელშეკრულების 8.2.1. ქვეპუნქტში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

11.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, საქონლის მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველისთვის საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი.

11.3. საქონლის დროებით შენახვაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი არ წარმოადგენს საქონლის საბოლოოდ მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს და არ წარმოშობს ანგარიშსწორების ვალდებულებას.

11.4. შემსყიდველი (ხელშეკრულების 8.2.1. ქვეპუნქტში მითითებული პირები) უფლებამოსილია დროებით შენახვაზე მიღებული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხოლო პარტიებათ მიწოდებულ საქონელზე, ყოველი პარტიიდან მიწოდებული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საქონლის დროებით შენახვაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ გადააგზავნოს შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში რის შესახებაც უნდა აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს.

11.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით შენახვაზე შემსყიდველისათვის გადაცემული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხოლო პარტიებათ მიწოდებულ საქონელზე, ყოველი პარტიიდან მიწოდებული საქონლის ნიმუშ(ებ)ი, ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დაჩქარებული წესით დადგენის მიზნით, საქონლის დროებით შენახვაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარადგინოს შემსყიდველთან (ხელშეკრულების 8.2.1 ქვეპუნქტში მითითებული პირები) შეთანხმებულ შესაბამის საექსპერტო დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში საქონლის ნიმუშ(ებ)ის ტრანსპორტირების და საექსპერტო კვლევის ხარჯებს იხდის მიმწოდებელი.

11.6. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის ან მისი ნაწილის მიღებაზე, თუ იგი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

11.7. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვნის მიმწოდებელს და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან, აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

11.8. საქონლის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 მხარეებს შორის ყველა დავა და უთანხმოება, წარმოქმნილი ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გადაწყდება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.

12.2. თუ მოლაპარაკების შედეგად მხარეები გონივრულ ვადაში ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, დადგენილი წესით, შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გარანტია

წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების 8.2.1. ქვეპუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში შეცვალოს წუნდებული ნივთი ახლით. თუ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში არ შეცვლის წუნდებულ ნივთს, იგი ვალდებულია დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა, მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

14. დასკვნითი დებულებები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი

ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმების საფუძველზე.

14.3. შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულებას და იგი წარმოადგეს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

14.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

14.5. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.6. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

14.7. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით და ეხება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის არსებულ ურთიერთობას, წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველის მხრიდან:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. N20
ს.კ. 204900483
ტელ: (+995 032) 2 54 35 35; (+995 032) 2 72 35 35
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი TRESGE22
მიმღების ანგარიში 200122900

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ლაშა ფაიქიძე

მიმწოდებლის მხრიდან:

შპს „ორგსერვისი“
ქუთაისი, ჭავჭავაძის N51/2ა
ს.კ.212693851
ტელ: 555568238 tbilisi2@orgservice.ge
სს პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი MIBGGE22
ა/ა: GE28PC 0133 6001 0006 7722

დირექტორი
ხვიჩა ნემსაძე

Ministry of Defence of Georgia

Digitally signed by Ministry of Defence of Georgia
Date: 2019.11.06 12:33:49 +04'00'

დანართი N1

საქონლის დასახელება, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა და ღირებულება

№	დასახელება	cpv	განზ. ერთ	რა-ბა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	2		3	4		
1	პასტელი ზეთის 9,0მმ. ნაკრებში 24ფ. 8314 8314024001KS	37800000	ც	15	12	180
2	ფანქარი ფერადი ცარცის Staedtler 24ფ. 149C C24	37800000	ც	4	24	96
3	ფანქარი აკვარელის KOH-I-NOOR fish 3719 36ფ 3719036004KS	37800000	ც	5	21	105
4	ფანქარი ფერადი Staedtler 24ფ. 146C C24	37800000	ც	5	15	75
5	ფანქარი ფერადი Staedtler Noris Club 24ფ. 185 C24	37800000	ც	5	12.6	63
6	ფანქარი ფერადი koh-i-noor 24ფ. 3594024007KS DINO	37800000	ც	5	12	60
7	პასტელი Koh-i-noor 24ფ. 12მმ. Extra Soft 8554024001KZ	37800000	ც	1	38.85	38.85
8	პასტელი Koh-i-noor 36ფ. 12მმ. Extra Soft 8555036001KZ	37800000	ც	1	54.6	54.6
9	პასტელი Koh-i-noor 48ფ. 12მმ. Extra Soft 8556048001KZ	37800000	ც	1	72.45	72.45
10	ყდა ასაკინძი AXENT 2730-A A4 1ც მუყაო ფერადი	37800000	ც	40	0.2	8

11	ქაღალდი ქსეროქსის ფერადი A4 160გრ. 1ფ. SPECTRA COLOR	37800000	ც	80	0.1	8
12	ფანქარი ნახშირი Staedtler Mars Lumograph Charcoal 100C-S	37800000	ც	3	2.8	8.4
13	ფანქარი ნახშირი Staedtler Mars Lumograph Charcoal 100C-H	37800000	ც	3	2.8	8.4
14	ფანქარი ნახშირი Staedtler Mars Lumograph Charcoal 100C-M	37800000	ც	4	2.8	11.2
15	ნახშირი სამხატვრო, ნატურალური 8*9mm./170 8622004004KS	37800000	ც	12	1.9	22.8
16	ნახშირი სამხატვრო, ნატურალური 6*7mm./170 8622006004KS	37800000	ც	18	1.25	22.5
17	ქაღალდი ხატვის GOZNAK A3 245*370 20ფ. კვერცხის ნაჭუჭის ფაქტურა	37800000	შეკ.	5	10.2	51
18	ქაღალდი ხაზვის GOZNAK A3 297*420 40ფ. პლანშეტი	37800000	შეკ.	15	12	180
19	ფანქარი უბრალო Koh-i-noor 1900 3B TOISON D'OR 190003B00509	37800000	ც	20	0.95	19
20	ფანქარი უბრალო Koh-i-noor 1900 B TOISON D'OR 190000B00509	37800000	ც	20	0.95	19
21	ფანქარი უბრალო Koh-i-noor 1900 2B TOISON D'OR 190002B00509	37800000	ც	20	0.95	19
22	თიხა STAEDTLER FIMO Airbasic 1000გრ. white 8101-0	37800000	ც	4	15.5	62
23	კერამიკული მასა koh-i-noor მოდელ. 1კგ. /თეთრი/ 013170600000	37800000	ც	4	10	40
24	კერამიკული მასა koh-i-noor მოდელ. 1კგ. /ტერრა/ 013170700000	37800000	ც	8	10	80

25	ფუნჯი Dynasty White Acrylic სინთეთიკა, SC 8600B-6	37800000	ც	1	6.2	6.2
26	ფუნჯი Dynasty White Acrylic სინთეთიკა, SC 8600R-6	37800000	ც	1	7.1	7.1
27	ფუნჯი Dynasty White Acrylic სინთეთიკა, SC 8600R-1	37800000	ც	1	4.2	4.2
28	ფუნჯი Dynasty White Acrylic სინთეთიკა, SC 8600F-6	37800000	ც	1	6.2	6.2
29	ფუნჯი Dynasty White Acrylic სინთეთიკა, SC 8600B-2	37800000	ც	1	4.6	4.6
30	ტილო მუყაოზე SINOART PREMIER 18*24სმ. 280გრ. COTTON	37800000	ც	5	2.6	13
31	ტილო მუყაოზე SINOART PREMIER 30*40სმ. 280გრ. COTTON	37800000	ც	5	5	25
32	ინსტრუმენტები მოდელირებისათვის KREUL HOBBY LINE 7ც. ხის სტეკები 042	37800000	ც	2	18.9	37.8
33	სტეკები CONDA A15258 ხის 5ც. ნაკრები	37800000	ც	4	6.3	25.2
34	ქაღალდი ფერადი FABRIANO COLORE Caffe 70*100სმ. 200გრ. 19513251	37800000	ც	5	3.8	19
35	ქაღალდი ფერადი FABRIANO COLORE Nero 70*100სმ. 200გრ. 46303235	37800000	ც	5	3.8	19
36	ქაღალდი ფერადი FABRIANO COLORE Ferro 70*100სმ. 200გრ. 46303242	37800000	ც	1	3.8	3.8
37	ქაღალდი ფერადი FABRIANO COLORE 50*70სმ. 200გრ. Ferro 44353242	37800000	ც	4	2	8
38	ქაღალდი ფერადი FABRIANO COLORE 50*70სმ. 200გრ. Bleu 44353234	37800000	ც	10	2	20

39	ქაღალდი ფერადი FABRIANO COLORE 50*70სმ. 200გრ. Verde 44353231	37800000	ც	10	2	20
40	ქაღალდი ფერადი FABRIANO COLORE 50*70სმ. 200გრ. Rosso 44353229	37800000	ც	10	2	20
41	ქაღალდი ხატვის GOZNAK A3 245*370 20ფ. ტილოს ფაქტურა	37800000	ც	2	10.2	20.4
42	ქაღალდი ხატვის GOZNAK A3 245*370 20ფ. ხატვის	37800000	ც	3	10.2	30.6
სულ: 1594.3 ლარი						

შემსყიდველის მხრიდან:
ლ. ფაიქიძე
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებლის მხრიდან:
ხ.ნემსაძე
შპს „ორგსერვისი"- ს
დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი და ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ვიზირებულია: **გ.ხიზანიშვილი**
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
არაელექტრონული შესყიდვების
სამმართველოს უფროსი

ვიზირებულია: **ა.კერვალიშვილი**
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
არაელექტრონული შესყიდვების
სამმართველოს უფროსის მოადგილე

ვიზირებულია: **თ. საბაძე**
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
არაელექტრონული შესყიდვების
სამმართველოს მთ. სპეციალისტი (

შემსრულებელი: **ა. ბუჩუკური**
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის
არაელექტრონული შესყიდვების
სამმართველოს მთ. სპეციალისტი